

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საზოგადოებრივი მაუწყებელი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თბილისი

2016 წლის 31 ოქტომბერი

№ 264

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის
2010 წლის 14 იანვრის №3 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებელში“ განხორციელებულ ორგანიზაციის სტრუქტურულ ცვლილებებთან დაკავშირებით, “მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-7 პუნქტის და სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ დებულების მე-5 პუნქტის 5.3.2. ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის 2010 წლის 14 იანვრის №3 ბრძანებაში შეტანილი იქნეს ცვლილება. კერძოდ, ბრძანების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
“2. კომისიის შემადგენლობა განისაზღვროს სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ შემდეგი თანამდებობრივი პოზიციების მიხედვით:
 - სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მედიისა და კომუნიკაციის დირექტორი - კომისიის თავმჯდომარე;
 - სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ახალი და მიმდინარე ამბების დირექტორი - კომისიის წევრი;
 - სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მედია წარმოების დირექტორი - კომისიის წევრი;
 - სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;
 - სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ იურიდიული სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი.“
2. დაევალოს კომისიის თავმჯდომარეს წინამდებარე ბრძანება განათავსოს სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ვებ-გვერდზე და გასაცნობად დაუგზავნოს კომისიის წევრებს.
3. წინამდებარე ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

გენერალური დირექტორი



გიორგი ბარათაშვილი